

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლიკა კაკალაძე

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის და კომპონენტების
სტრუქტურის ანალიზი „შპს ორიენტ ლოჯიკ“-ის მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება

მოდული - ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

ნაშრომი შესრულებულია ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარინა მაისურაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

ფინანსური ანგარიშგების მიზანია მომხმარებელისთვის ინფორმაციის მიწოდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფულადი საშუალებების შესახებ. ამ ინფორმაციის დახმარებით უნდა შეძლონ მომხმარებელმა სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის და მისი კომპონენტების სტრუქტურის ანალიზი.

ნაშრომი ორი თავისაგან შედგება. პირველი თავი ეხება ფინანსური ანგარიშგების არსსა და წარდგენას. განხილულია ისეთი საკითხები როგორცაა: ფინანსური ანგარიშგების არსი, მისი ელემენტები - აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი და ხარჯები. თუ როგორ ხდება მათი აღიარება და შეფასება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ორ ნაწილად არის დაყოფილი - ძირითადი მახასიათებლები და მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ინფორმაციის სარგებლიანობას და მოიცავს იმ აუცილებელ თვისებებს, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება უნდა აკმაყოფილებდეს, რათა ინფორმაცია სასარგებლო იყოს.

ნაშრომში ასევე განხილულია თუ რა კომპონენტებისაგან შედგება ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, პერიოდის მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურა და მომზადების წესები.

მეორე თავში კი განხილულია ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების სტრუქტურის ანალიზი შპს ორიენტ ლოჯიკის მაგალითზე, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას კომპიუტერული ტექნიკით ვაჭრობისა და მომსახურების ბაზარზე. მოყვანილია 2017 და 2018 წლების ანგარიშგება და ცალ-ცალკე არის განხილული თითოეული კომპონენტის შედგენის მეთოდები, შეფასება და ანალიზი, ცხრილებისა და დიაგრამების მეშვეობით, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ შედეგს.

Annotation

The purpose of financial statements is to provide information to customers about the financial condition of the enterprise, the results of its activities and cash. With the help of this information, consumers should be able to make the right economic decisions.

In the stated thesis, here are considered the issues of financial statements presentation and analysis of the structure of its components.

The thesis below consists of two parts. The first chapter deals with the essence of financial statement and presentation techniques. There are discussed issues such as the essence of financial statement, its elements - assets, liabilities, equity, income and expenses. How they are recognized and evaluated according to international accounting standards.

Qualitative characteristics of financial statement information are also presented, which are divided into two parts - the main features and characteristics that enhance the usefulness of the information and include the essential features that financial statements must meet for information to be useful.

The thesis also discusses the components of financial statement: The financial condition's statement, the profit/loss and the whole revenue statement, the cash flow statement and the equity change statement.

The second chapter contains the issues of analysis of the structure of financial statement components, on the example of Orient Logic Ltd., which is one of the leading companies in the market of computer hardware trading and services. There are presented financial statements of 2017 and 2018 years. Methods of compiling, evaluating and analyzing each component are discussed through tables and diagrams, which more clearly show the financial result of the company.

შინაარსი

შესავალი	5
თავი 1. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა	7
1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი, ელემენტები, მათი აღიარება და შეფასება	7
1.2 ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები	13
1.3 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები	18
თავი 2. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების სტრუქტურული ანალიზი.....	25
2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	25
2.2 მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	32
2.3 ფულადი ნაკადების ანგარიშგება	39
2.4 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	45
დასკვნა	49
გამოყენებული ლიტერატურა.....	52
დანართი.....	53

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, საწარმოებმა პერიოდულად უნდა მოამზადონ და წარადგინონ ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შესაბამისობითა და სამართლიანი წარდგენით უნდა აკმაყოფილებდეს ინფორმაციის მომხმარებელთა მოთხოვნებს.

თემის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მნიშვნელოვანია ბაზრის მონაწილეებისათვის, პოტენციური ინვესტორებისთვის ფინანსური შედეგების ანალიზისა და კომპანიის მომავალი პერსპექტივების შესაფასებლად. სწორედ ეს ინფორმაცია აკავშირებს ბაზრის მონაწილეებს ერთმანეთთან და უზრუნველყოფს მომავალში მათ შორის კავშირის დამყარებას. პოტენციური ინვესტორები ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე წყვეტენ ღირს თუ არა კონკრეტულ საწარმოში ინვესტიციის განხორციელება.

ეს ინფორმაცია კომპანიის ხელმძღვანელობისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რათა სწორი ორიენტაცია მოახდინონ კომპანიის მომავალ გეგმებზე, შეაფასონ წინა პერიოდის მოვლენები, გამოავლინონ საწარმოში არსებული ხარვეზები და თავიდან აიცილონ მომავალში მათი გამეორება.

მაგალითად ბალანსი, ინფორმაციას აძლევს მომხმარებელს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რაც დაეხმარება მათ კომპანიის სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენაში, გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის შეფასებაში.

მოგება/ზარალის ანგარიშგება ეხმარება მომხმარებელს გაარკვიოს როგორი უკუგება მიიღო საწარმომ, ეფექტიანად გამოიყენა თუ არა თავისი რესურსები ამ შედეგის მისაღებად და მომავალში რას შეიძლება მიაღწიოს.

მნიშვნელოვანია იმის გაგებაც როგორ იხარჯება და მოიპოვება საწარმოს ფულადი სახსრები, როგორ ახერხებს საწარმო ვალდებულებების დაფარვას, გააჩნია ამისთვის თუ არა საკუთარი სახსრები. ამ ინფორმაციას მომხმარებელი ფულადი ნაკადების ანგარიშგებიდან გაიგებს.

ასევე გასათვალისწინებელია საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება, როგორია პარტნიორების შენატანი საწარმოში, ხდება თუ არა დამატებითი აქციების გამოშვება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, ფინანსური ანგარიშგების ყველა კომპონენტში ასახული ინფორმაცია თანაბრად მნიშვნელოვანია.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების თეორიული და პრაქტიკული საკითხების განხილვა, თუ როგორ უნდა იყოს დაცული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მისი შედგენისას. გვამლევს თუ არა ფინანსური ანგარიშგება იმის საშუალებას, შევადაროთ კომპანიის დღევანდელი მდგომარეობა წინა პერიოდებს და დავგეგმოთ მომავალი.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლებია : ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები.

ნაშრომში შპს ორიენტ ლოჯიკის ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი, ეს კი ნიშნავს რომ სწორედ ის არის კვლევის ობიექტი. მის მაგალითზეა წარმოჩენილი ანგარიშგების სტრუქტურა, მათი შეფასება და ანალიზი.

თავი 1. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი, ელემენტები, მათი აღიარება და შეფასება

როგორც ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ განმარტავს, ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. მისი მიზანი კი მომხმარებლებისთვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგების და ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა. ეს ინფორმაცია უნდა დაეხმაროს მომხმარებლებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში, მისი ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შეფასებაში, მომავალი ფულადი საშუალებების მიღების შესაძლებლობის განსაზღვრაში და ზოგადად სასარგებლო ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში. ეს გადაწყვეტილება კი შეიძლება იყოს პოტენციური ინვესტორების, გამსესხებლებისა და სხვა კრედიტორების მიერ წილობრივი და სავალო ინსტრუმენტების ყიდვა, გაყიდვა. ასევე სესხების გაცემა, დაფარვა და სხვა. [2,4]

ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგი, რომლებიც მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით, ფართო კატეგორიებად არის დაჯგუფებული. ამგვარ ფართო კატეგორიებს ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს უწოდებენ. [8,21]

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

- აქტივები;
- ვალდებულებები;
- საკუთარი კაპიტალი;
- შემოსავლები;
- ხარჯები.

პირველი სამი ელემენტი - აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ანუ ბუღალტრულ ბალანსში აისახება და ბალანსის ელემენტებს წარმოადგენენ. ხოლო შემოსავლები და ხარჯები მოგება/ზარალის ანგარიშგების.

იმ მუხლების ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც აკმაყოფილებენ ელემენტის განმარტებას აღიარება ეწოდება. ის გულისხმობს ბალანსსა თუ მოგება ზარალის ანგარიშგებაში მოცემული მუხლის სიტყვიერ და თანხობრივ ასახვას. მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების ელემენტის ცნებას, აღიარდება და მასში აისახება იმ შემთხვევაში, თუ:

- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა;
- მუხლს გააჩნია ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. [8,26]

განვიხილოთ თითოეული ელემენტის აღიარებისა და შეფასების საკითხები ცალ-ცალკე.

აქტივი - არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. [8,21]

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შეიძლება შემოვიდეს სხვადასხვა გზით. მაგალითად:

- აქტივის გამოყენება წარმოების დროს და მომსახურების გაწევისას;
- სხვა აქტივზე აქტივის გაცვლა;
- ვალდებულებების დასაფარად აქტივის გამოყენება;
- საწარმოს მესაკუთრეებზე აქტივის განაწილება.

ზოგიერთი აქტივი დაკავშირებულია სამართლებრივ და საკუთრების უფლებებთან. თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს გამონაკლისები. ზოგიერთი საგანი შეიძლება

მიჩნეული იქნას აქტივად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საწარმოს არ გააჩნია მასზე კონტროლი.

აქტივი რომ იყოს აღიარებული, ამისათვის საწარმო უნდა მოელოდეს აქტივისგან ეკონომიკური სარგებლის მიღებას და შესაძლებელი იყოს მისი საიმედოდ შეფასება თანხობრივად. მაგალითად თუკი საწარმო დარწმუნებულია რომ დებიტორული დავალიანების ნაწილს აუცილებლად მიიღებს, მაშინ შეუძლია მისი აქტივად ასახვა, ხოლო ნაწილი, რომელიც შეიძლება არ იქნეს დაფარული, აღიაროს სავარაუდო გასავლების სახით, რომელიც შეამცირებს ეკონომიკურ სარგებელს. აქვე მნიშვნელოვანია მეორე კრიტერიუმი, თუკი შეუძლებელია აქტივის საიმედოდ შეფასება იგი ბალანსში ვერ აღიარდება.

ვალდებულება - საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გასვლას, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი. [8,21]

ვალდებულება წარმოიშვება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის პირობებში. მაგალითად როდესაც ხდება საქონლის ან მომსახურების მიღება თანხის მომავალში გადახდის პირობით. ვალდებულების დაფარვა კი გულისხმობს საწარმოდან ეკონომიკური რესურსების გასვლას, მაგალითად:

- თანხის გაცემით;
- აქტივის გადაცემით;
- მომსახურების გაწევით;
- ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით;
- ვალდებულების საკუთარ კაპიტალად გადაქცევის გზით;
- კრედიტორის მიერ მისაღებ თანხაზე უარის თქმით. [8,23]

ვალდებულებების წარმოქმნის საფუძველი წარსულში განხორციელებული ოპერაციებია.

რაც შეეხება აღიარებას, ვალდებულება საწარმოს ბალანსში იმ შემთხვევაში აისახება, თუ მისი დაფარვა ეკონომიკური სარგებლის შემცვლელი რესურსების გასვლას გამოიწვევს მომავალში საწარმოდან და შესაძლებელი იქნება მისი საიმედოდ შეფასება. ვალდებულებების აღიარება კი ასევე გამოიწვევს მასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარებასაც. [8,28]

საკუთარი კაპიტალი - არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. [8,22]

საკუთარი კაპიტალი შეიძლება შემდეგ ქვეჯგუფებად დაიყოს:

- სააქციო კაპიტალი;
- გაუნაწილებელი მოგება;
- მოგებიდან შექმნილი რეზერვები;
- რეზერვები, რომლებიც უზრუნველყოფს კაპიტალის შენარჩუნებას.

ზოგჯერ საწარმოს წესდებით ან კანონმდებლობით მოეთხოვება რეზერვის შექმნა, ზარალისაგან დაცვის მიზნით. ამგვარი რეზერვების არსებობა ბალანსში აუცილებელია რათა მომხმარებელმა შეძლოს სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება.

საწარმოს საკუთარი კაპიტალის სიდიდე, რომელიც ბალანსში არის ასახული, დამოკიდებულია აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე.

დარჩენილი ორი ელემენტი - შემოსავალი და ხარჯები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება. საწარმოს მოგება ორი ელემენტით განისაზღვრება საერთო შემოსავლებითა და საერთო ხარჯებით.

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში შეიძლება ნაჩვენები იყოს:

- მთლიანი მოგება;
- მოგება დაბეგვრამდე;
- მოგება დაბეგვრის შემდეგ;
- მოგება ან ზარალი.

შემოსავალი - არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირებით, რაც იწვევს საწარმოს საკუთარი კაპიტალის ზრდას, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეების მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან. [8,25]

ცნება შემოსავალი მოიცავს ამონაგებსა და შემოსულობას. ამონაგები საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში წარმოიშვება. ეს შეიძლება იყოს საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები, მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები, პროცენტი, დივიდენდი და სხვა. [8,25]

რაც შეეხება შემოსულობას, ის გულისხმობს სხვა მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებს შემოსავლის განმარტებას, მაგრამ არ წარმოადგენს ამონაგებს. ის შეიძლება მიღებულ იქნას ძირითადი აქტივების გაყიდვის შედეგად, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გადაფასებით.

შემოსავალი საწარმოში შეიძლება წარმოიშვას როგორც აქტივების მიღებით, ასევე ვალდებულებების დაფარვით. აქტივების შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ფულადი სახსრები, მოთხოვნები, საქონელი, რომელიც საქონლის გაცვლის შედეგად მიიღება. ვალდებულებების შემთხვევაში კი საწარმოს შეუძლია კრედიტორს მიაწოდოს საქონელი ან მომსახურება კრედიტორული დავალიანების დასაფარად.

შემოსავლების აღიარება იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ეკონომიკური სარგებლის ზრდა აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირებით არის გამოწვეული და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯი - არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების გაზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით და არ არის დაკავშირებული მესაკუთრეების მიერ კაპიტალის განაწილებასთან. [8,26]

ხარჯების ცნება მოიცავს:

- ზარალს;
- ხარჯებს.

ხარჯები წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, მაგალითად როგორცაა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები. ზარალი გულისხმობს იმ სხვა მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებს ხარჯების განმარტებას და შეიძლება წარმოიქმნას ან არ წარმოიქმნას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. მაგალითად ზარალი შეიძლება წარმოიშვას კურსის ცვლილების შედეგად, თუ საწარმოს უცხოურ ვალუტაში ჰქონდა ნასესხები სახსრები და სავალუტო კურსი გაიზარდა ეროვნულთან შედარებით. [8,26]

ხარჯების აღიარება ხდება მაშინვე, როდესაც აღიარდება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა.

თუკი ხარჯი არ წარმოშობს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, მაშინ იგი უნდა აღიარდეს მისი გაწვევისთანავე პერიოდის ხარჯად და აისახოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

შეფასება - გულისხმობს ფულადი განზომილების განსაზღვრის პროცესს, რომლის მიხედვითაც ფინანსური ანგარიშგების ელემენტები აღიარდება ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ბასს გამოყოფს ელემენტების შეფასების ოთხ მეთოდს: პირვანდელი ღირებულება, მიმდინარე ღირებულება, სარეალიზაციო ღირებულება და დისკონტირებული ღირებულება. [8,29]

ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არის პირვანდელი ღირებულება.

1.2 ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები

ფინანსური ანგარიშგების შედგენისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს მომხმარებელთა მოთხოვნები, მათზე სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების მიზნით. როგორც ძირითადი (ინვესტორები, გამსესხებლები, სხვა კრედიტორები), ისე დანარჩენი მომხმარებლები ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგებიდან იღებენ. სწორედ ამიტომ ფინანსური ანგარიშგება უნდა აკმაყოფილებდეს „კონცეპტუალურ საფუძვლების“ მესამე თავში მოყვანილ სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს. იმისათვის, რომ ფინანსური ინფორმაცია სასარგებლო იყოს, უნდა ახასიათებდეს შესაბამისობა და სამართლიანი წარდგენა. ხოლო სარგებლიანობა უფრო ამაღლდება თუ ის იქნება შესაძარისი, შემოწმებადი, დროული და აღქმადი. [8,13]

კონცეპტუალურ საფუძვლებში ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები დაყოფილია ორ ჯგუფად:


I - ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები:

- შესაბამისობა;
- სამართლიანი წარდგენა.

II - ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ინფორმაციის სარგებლიანობას:

- შესაძარისობა;
- შემოწმებადობა;
- დროულობა;
- აღქმადობა. [8,13] [8,16]

სქემის სახით ნათლად შეიძლება წარმოვადგინოთ ფინანსური ინფორმაციის მახასიათებლები:



სქემა 1. ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები.

შესაბამისობა - გულისხმობს, რომ ინფორმაცია უნდა იყოს საწარმოში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შესაბამისი. ინფორმაცია შესაბამისია თუ მას გააჩნია საპროგნოზო ან დამადასტურებელი თვისება, ან ორივე ერთად. [8,14]

თუ ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია ამოსავალ ბაზად მომავალი შედეგების პროგნოზირებისთვის, ეს გულისხმობს, რომ ინფორმაციას გააჩნია საპროგნოზო თვისება. არ არის აუცილებელი იგი წარმოდგენილი იყოს პროგნოზის სახით, მას თვითონ მომხმარებლები იყენებენ საკუთარი პროგნოზების გამოსათვლელად.

დამადასტურებელი თვისება კი გულისხმობს, რომ ინფორმაცია ადასტურებს ან ცვლის ადრე გაკეთებულ შეფასებებს.

ხშირად ინფორმაციას, რომელსაც აქვს საპროგნოზო თვისება, ასევე გააჩნია დამადასტურებელი თვისებაც. ამის საუკეთესო მაგალითი კი ამონაგებია. ის შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მომავალი პროგნოზებისთვის, ასევე წინა პერიოდთან შედარებისთვის.

სამართლიანი წარდგენა - მეორე ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებელია, რომელიც გულისხმობს, რომ ფინანსური ინფორმაცია უნდა ასახავდეს ეკონომიკური მოვლენის შინაარსს და არა მარტო სამართლებრივ ფორმას. მასში გადმოცემული ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს, ის მარტო წარმოდგენას კი არ უნდა გვიქმნიდეს ეკონომიკური მოვლენების შესახებ, არამედ სამართლიანად უნდა წარმოაჩენდეს მოვლენებს.

ინფორმაცია სამართლიანად რომ იყოს წარდგენილი, მას უნდა გააჩნდეს სამი მახასიათებელი:

- სრულყოფილება;
- ნეიტრალურობა;
- არ უნდა შეიცავდეს შეცდომებს. [8,14]

სასარგებლო ინფორმაცია როგორც შესაბამისი ისე სამართლიანად წარმოდგენილი უნდა იყოს.

ხარისხობრივი მახასიათებლების მეორე ჯგუფი, რომელიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას, არის : შესადარისობა, შემოწმებადობა, დროულობა და აღქმადობა.

შესადარისობა - გადაწყვეტილება, რომელიც მომხმარებელმა უნდა მიიღოს, ხშირ შემთხვევაში რამოდენიმე ალტერნატივიდან არჩევანის გაკეთებასთან არის დაკავშირებული. ინვესტორს გაუადვილდება გადაწყვეტილების მიღება ინვესტირების შესახებ, თუკი ექნება შესაძლებლობა ორი საწარმოს მაჩვენებლები ერთმანეთს შეადაროს. შეიძლება ერთმანეთს შეუდარდეს როგორც სხვადასხვა კომპანიების ერთი და იგივე მონაცემები, ისე ერთი საწარმოს კონკრეტული მონაცემი სხვადასხვა დროით პერიოდებში.

დანარჩენი ხარისხობრივი მახასიათებლებისგან განსხვავებით, შესადარისობა რომელიმე ერთ ელემენტთან არ არის დაკავშირებული. სულ მცირე ორი მუხლი მაინც არის საჭირო რათა მომხმარებელმა შეძლოს განსახილველ ელემენტებს შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენა. ეს კი ბუღალტრული აღრიცხვის საერთო

მეთოდების გამოყენებით მიიღწევა. თუ ორი კომპანია აღრიცხვის განსხვავებულ მეთოდებს იყენებს, მაშინ ინფორმაცია არ იქნება შესადარისი.

შესადარისობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მახასიათებელია, მაგრამ ის არ შედის ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლებში. ამის მიზეზი კი შეიძლება იყოს ის, რომ შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია მაინც მნიშვნელოვანი იქნება, თუ ვერ მოხერხდება მისი შედარება სხვა ინფორმაციასთან. ასევე შესადარისი ინფორმაცია ვერ იქნება სასარგებლო თუ არ არის შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი. ამიტომ შესადარისობა ისეთი ხარისხობრივი მახასიათებელია, რომელიც ზრდის ინფორმაციის სარგებლიანობას და არ არის აღიარებული როგორც ძირითადი მახასიათებელი.

შემოწმებადობა - ეს თვისება ეხმარება მომხმარებელს დარწმუნდეს ინფორმაციის სისწორეში - თუ რამდენად სამართლიანად ასახავს ინფორმაცია ეკონომიკურ მოვლენას. [8,16]

დროულობა - ნიშნავს ინფორმაციის მიწოდებას მომხმარებლისათვის, მაშინ როდესაც მას გავლენის მოხდენა შეუძლია გადაწყვეტილებაზე. რაც უფრო ძველი იქნება ინფორმაცია, მით უფრო ნაკლებად სასარგებლოა იგი. მაგრამ ზოგჯერ ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგაც შესაძლოა დროული დარჩეს, თუ მომხმარებელს ტენდენციების დადგენა და შეფასება აინტერესებს.

აღქმადობა - ანუ ინფორმაციის კლასიფიცირება, სისტემატიზაცია, ნათლად და ლაკონურად წარმოდგენა. როდესაც ინფორმაცია მომხმარებლებისთვის ადვილად გასაგებია. [8,17]

არსებობს რთული ეკონომიკური მოვლენები, რომელთა წარმოჩენა მარტივად და გასაგები ფორმით შეუძლებელია. თუ ამ ინფორმაციას საწარმო არ ასახავს ანგარიშგებაში, მაშინ აღქმადი იქნება ყველა მომხმარებლისათვის, მაგრამ არ იქნება სრულყოფილი. ამიტომ ფინანსური ანგარიშგება მზადდება ისეთი მომხმარებლებისთვის, რომელთაც გააჩნიათ ეკონომიკური საქმიანობისა და ბიზნესის შესახებ საკმარისი ცოდნა, რომ მოახდინონ მასში ასახული ინფორმაციის ანალიზი.

არასწორია ფინანსურ ანგარიშგებაში მხოლოდ მარტივი ინფორმაციის წარმოდგენა, ასე ხომ ანგარიშგება არასრულყოფილი გახდება და მომხმარებელსაც შეცდომაში შეიყვანს.

კარგი იქნება, თუ ფინანსური ანგარიშგება ისეთ ხარისხობრივ მახასიათებლებსაც დააკმაყოფილებს, რომელიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას. მაგრამ მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ძირითადი მახასიათებლებია.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომზადება ყოველთვის გარკვეულ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანია ეს დანახარჯები გამართლებული იყოს მიღებული სარგებლის თვალსაზრისით. ამ დანახარჯებს გასწევენ პირები, რომლებიც ფინანსურ ინფორმაციას წარადგენენ (ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, გავრცელება). მიღებული სარგებელი კი ამ შემთხვევაში იქნება ინვესტიციის მიღება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისგან. ასევე მომხმარებლებიც გასწევენ დანახარჯებს ინფორმაციის გაანალიზებასა და ინტერპრეტაციაზე. სარგებელს კი იღებენ, როდესაც გადაწყვეტილებას იღებენ დიდი მოცულობის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ამიტომ საწარმო უნდა შეეცადოს მოამზადოს ისეთი ფინანსური ანგარიშგება, რომელზე გაწეული დანახარჯებიც ნაკლები იქნება მიღებულ სარგებელზე.

1.3 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

საწარმოს ხელმძღვანელობას ევალება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მომხმარებლებისთვის წარდგენა, რომელიც შემდეგ კომპონენტებს შეიცავს:

- ბალანსი;
- ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება;
- სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

ბალანსი

ბალანსი ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც განზოგადებულად, დროის განსაზღვრული მომენტისთვის ფულადი საზომით ასახავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და კაპიტალს. [14,66]

ბალანსში აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი ეროვნული ვალუტით აისახება, ანუ გამოიყენება ფულადი შეფასების პრინციპი. იგი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მზადდება.

ბალანსის ერთ მხარეს აქტივები აისახება, მეორე მხარეს კი ვალდებულებები და კაპიტალი. ბალანსის მუხლების ამგვარ ასახვას ორმხრივობის პრინციპი უდევს საფუძვლად.

ბუღალტრულ ბალანსში აქტივები გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებად ჯგუფდება. გრძელვადიანი აქტივები კი მატერიალური, არამატერიალური და ფინანსური აქტივების სახით გვხვდება.

ვალდებულებებიც აქტივების მსგავსად, მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებად ჯგუფდება.

საკუთარი კაპიტალის ბალანსში ასახვა საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზეა დამოკიდებული, გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. იგი ბალანსში შემდეგი მუხლებით შეიძლება იყოს წარმოდგენილი: საწესდებო კაპიტალი, სააქციო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება, სარეზერვო კაპიტალი.

ბალანსში მუხლები ლიკვიდურობის ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით ლაგდება. ლიკვიდურობა გულისხმობს ფულად გადაქცევის სისწრაფეს. ორივე მიდგომა დასაშვებია და არ იზღუდება. [14,67]

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება არის განსაზღვრული პერიოდისთვის საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგის ცხრილური წარმოდგენა. როგორც ზემოთ აღვნიშნე მისი შემადგენელი ელემენტებია შემოსავლები და ხარჯები.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ორი მეთოდით შეიძლება მომზადდეს:

- დანახარჯების დაჯგუფებით ეკონომიკური ელემენტების მიხედვით;
- დანახარჯების დაჯგუფებით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

პირველი მეთოდის გამოყენებისას რეალიზებულ შემოსავალს აკლდება საოპერაციო ხარჯები (როგორცაა მასალის, შრომითი, ცვეთის ხარჯები) და მიიღება საოპერაციო მოგება. საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინების შემდეგ - მოგება დაბეგვრამდე, ხოლო მოგების გადასახადის ხარჯის გამოკლების შემდეგ წმინდა მოგება.

დანახარჯთა ფუნქციური დანიშნულების კლასიფიკაციის საფუძველზე წარმოდგენილ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები კლასიფიცირებულია საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯებად. საწარმოო დანახარჯებს მიეკუთვნება - პირდაპირი მასალის, პირდაპირი შრომის და საწარმოო ზედნადები ხარჯების ჯამი, რომელიც წარმოდგენილია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების სახით. ამ ხარჯების გამოკლების შემდეგ მიიღება მოგება რეალიზაციიდან. არასაწარმოო - მარკეტინგული და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების გამოკლებით საოპერაციო

მოგება. შემდეგ კი წინა მეთოდის მსგავსად ხდება საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინება, რათა მიღებულ იქნას მოგება დაბეგვრამდე და ბოლოს მოგების გადასახადის გამოკლებით წმინდა მოგება.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოგება/ზარალში ასახული ინფორმაცია სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად. ისინი იგებენ თუ რამდენად გამართულად და კარგად მუშაობს საწარმო, გამოიმუშავებს თუ არა ფულს, ამისათვის კი შემოსავლები უნდა აღემატებოდეს ხარჯებს.

ინვესტორები მაშინ მიიჩნევენ მოგება-ზარალის ანგარიშგებას პოზიტიურად, როდესაც შემოსავლების ზრდის ტემპები უსწრებს დანახარჯების ზრდის ტემპებს და ანგარიშგებაში არ ჩანს ზარალი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება გვიჩვენებს კომპანიის ფულადი თანხებისა და მისი ეკვივალენტების მიღების წყაროსა და გამოყენებას მთელი წლისათვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მომხმარებელს ეხმარება გაიგოს თუ რამდენად გადახდისუნარიანი არის საწარმო და დროულად ახდენს თუ არა რეაგირებას ფულადი საშუალებების რაოდენობრივ მხარეზე.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების წარდგენა ყველა საწარმოსათვის სავალდებულოა, რადგან ყველას სჭირდება ფულადი საშუალებები თავიანთი საქმიანობის განსახორციელებლად, ვალდებულებების დასაფარად, ინვესტორებთან ანგარიშსწორებისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აისახება საანგარიშგებო პერიოდის ფულადი ნაკადები, რომელიც დაჯგუფებული იქნება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობად. [5,2]

- საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები - მოიცავს ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ძირითად საქმიანობასთან. ეს

შეიძლება იყოს მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები, მომწოდებლებზე გადახდილი თანხები, თანამშრომლებისთვის გადახდილი თანხები. ზოგადად საოპერაციო საქმიანობა საწარმოს მთავარი საქმიანობაა, რომელზეც არის ძირითადად კონცენტრირებული დანახარჯები და მოაქვს მთავარი შემოსავლები. რომლებიც მთავარ ინდიკატორად საწარმოს საქმიანობის შეფასებაში. მომხმარებელი ხედავს მიიღო თუ არა საწარმომ ძირითადი საქმიანობიდან საკმარისი ფულადი სახსრები ვალდებულებების დასაფარავად.

- საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები - არის გრძელვადიანი აქტივების შეძენასა და გაყიდვასთან დაკავშირებული, გაცემული და მიღებული ფულადი თანხები. იგი მოიცავს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილ და მათი გაყიდვით მიღებულ თანხებს, სხვა საწარმოების წილების და სასესხო ინსტრუმენტების შესაძენად გადახდილ და რეალიზაციიდან მიღებულ ფულად სახსრებს, ავანსებად და სესხებად გაცემულ და მათ დასაფარად მიღებულ თანხებს, ფიუჩერსული, ფორვარდული, ოფციონების და სვოპ ხელშეკრულებით მიღებულ და გადახდილ ფულად თანხებს, გარდა სამეწარმეო, სავაჭრო ან საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული შემთხვევებისა. [5,4]
- საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები - ეს ფულადი სახსრების ისეთი მოძრაობაა, რომელიც იწვევს საწარმოს საკუთარ კაპიტალსა და ნასესხებ საშუალებებში ცვლილებებს. მისი მაგალითებია: აქციების გამოშვების შედეგად მიღებული და შეძენის შედეგად გაცემული ფულადი სახსრები, სესხების, ობლიგაციების, გირაოების გამოშვების შედეგად მიღებული სახსრები და სესხების დასაფარად გაცემული სახსრები, ასევე ფინანსური იჯარის ვალდებულების დასაფარავად მიღებული თანხები.

ფულადი ნაკადის ანგარიშგების წარდგენის ორი მეთოდი არსებობს: პირდაპირი და არაპირდაპირი.

პირდაპირი მეთოდი გულისხმობს ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადების ჩვენებას, ძირითადი კატეგორიების მიხედვით. უნდა შეფასდეს ყველა შემოსულობისა და გადასახდელი თანხის სიდიდე სამივე საქმიანობის ჭრილში.

არაპირდაპირი მეთოდის დროს კი ვიღებთ დასაბეგრ ან წმინდა მოგების მაჩვენებელს და ვასწორებთ ხარჯებით და შემოსავლებით, ანუ ხდება კორექტირება არაფულადი ოპერაციების შედეგებით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების საბაზისო მეთოდია პირდაპირი მეთოდი. იგი საშუალებას გვაძლევს დეტალურად წარმოვადგინოთ შემოსულობები და გადასახდელები, მომხმარებელს კი ოპერატიული დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს ფულადი საშუალებების საკმარისობის შესახებ.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგება გვიჩვენებს მოგების ან ზარალის გავლენას საწარმოს სააქციო და საემისიო კაპიტალზე და რეზერვებზე. მასში შეიტანება ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება საკუთარი კაპიტალის რომელიმე ელემენტს.

წლის დასაწყისთან შედარებით, საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილება გვიჩვენებს საწარმოს წმინდა აქტივების შემცირებას ან ზრდას საანგარიშო პერიოდში. საწარმოს საკუთარი კაპიტალის ჯამური ცვლილება კი, გარდა აქციონერებთან განხორციელებული ოპერაციებისა (წილის შენატანები, დივიდენდის განაწილება, საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების ხელახალი შესყიდვა) გვიჩვენებს საწარმოს საქმიანობიდან მიღებულ მთლიან მოგებას ან ზარალს საანგარიშგებო პერიოდში. [2,23]

რომ შევაჯამოთ, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება მომხმარებელს აძლევს ინფორმაციას ინვესტირებული და რეინვესტირებული კაპიტალის ანალიზისთვის. მოახერხა თუ არა საწარმომ კაპიტალის შენარჩუნება და რამდენად ეფექტურია რეზერვების შექმნის პოლიტიკა.

სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა - ეს არის გარკვეული დაშვებების, წესების, პრინციპების, საფუძვლების და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომელსაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

ფასს-ის სტანდარტების მიხედვით შემუშავებულია სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგება. იმ შემთხვევაში, როდესაც სტანდარტი კონკრეტულად ეხება რომელიმე ოპერაციას, სააღრიცხვო პოლიტიკაც უნდა განისაზღვროს ამ სტანდარტის გამოყენებით. ხოლო თუკი არ არსებობს ამ ოპერაციისთვის შესაბამისი სტანდარტი, მაშინ ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც დაეხმარება მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში, საიმედო იქნება იმ გაგებით, რომ :

- სამართლიანად ასახავს საწარმოს საქმიანობას;
- გამოხატავს მოვლენების ეკონომიკურ შინაარსს და არა ფორმას;
- ნეიტრალურია;
- არის წინდახედული და დასრულებული ყველა ასპექტში. [6,3]

საწარმომ უნდა აირჩიოს და უცვლელად გამოიყენოს სააღრიცხვო პოლიტიკა. მისი შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ეს ცვლილება მოითხოვება სტანდარტის მიერ და უზრუნველყოფს უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენას ანგარიშგებაში.

განმარტებითი შენიშვნები - ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი მოიცავს დამატებით ინფორმაციას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების შესახებ, აგრეთვე იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს.

განმარტებით შენიშვნებში აისახება:

- ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლების და საწარმოს მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ;
- ფასს-ით გათვალისწინებული განმარტებითი ინფორმაცია, რომელიც სხვაგან ასახული არ არის;
- დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული, მაგრამ აუცილებელია საწარმოს ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის გასაგებად. [2,24]

საწარმოს ფინანსური შედეგების და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მომხმარებლებისთვის საკმარისი არ არის ინფორმაცია, რომელიც ბალანსსა და მოგება-ზარალში არის ასახული. ყველაფრის უფრო თვალნათლად წარმოჩენისთვის არსებობს განმარტებითი შენიშვნები, რათა მომხმარებელს გაუმარტივდეს ინფორმაციის აღქმა.

თავი 2. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების სტრუქტურული ანალიზი

2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გვამლევს ინფორმაციას საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ გარკვეული თარიღისთვის.

ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურული ანალიზი განხილულია შპს ორიენტ ლოჯიკის მაგალითზე, 2017 და 2018 წლის მდგომარეობით.

შპს ორიენტ ლოჯიკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომპიუტერული ტექნიკით ვაჭრობა და მომსახურების გაწევა. პროდუქტების შესყიდვას ახორციელებს როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე იმპორტის სახით.

ცხრილი 2.1.1 - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვერტიკალური სტრუქტურა პროცენტულად

	2017	2018	გადახრა
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი საშუალებები	7,42	17,69	+10,27
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	22,13	16,08	-6,05
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	3,30	1,22	-2,09
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1,09	0,87	-0,22
საგადასახადო აქტივი	1,14	2,19	+1,05
საქონელი	30,78	36,03	+5,25
სულ მიმდინარე აქტივები	65,87	74,07	+8,21
გრძელვადიანი აქტივები			
მიწის ნაკვეთები	16,24	12,29	-3,95
შენობები	15,57	11,57	-4,00
ოფისის აღჭურვილობა	1,32	1,61	+0,29
სატრანსპორტო საშუალებები	1,00	0,46	-0,55
სულ გრძელვადიანი აქტივები	34,13	25,93	-8,21
სულ აქტივები	100,00	100,00	0,00

ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	36,16	39,01	+2,85
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	0,00	0,03	+0,03
მიღებული ავანსები	6,76	22,02	+15,26
მოკლევადიანი სესხები	8,45	5,80	-2,65
საგადასახადო ვალდებულება	0,00	0,15	+0,15
სულ მიმდინარე ვალდებულებები	51,36	67,01	+15,65
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3,06	1,28	-1,78
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,06	1,28	-1,78
სულ ვალდებულებები	54,42	68,29	-13,87
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	0,01	0,01	0,00
გაუნაწილებელი მოგება	24,55	13,45	-11,10
სარეზერვო კაპიტალი	21,02	15,91	-5,11
გაუნაწილებელი მოგება 2018 წელი		2,35	-2,35
სულ კაპიტალი	45,58	31,71	-13,87
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	100,00	100,00	0,00

ბუღალტრული ბალანსის მონაცემებით ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელს შეუძლია რიგი დასკვნების გამოტანა და ანალიზი. მაგალითად გამოავლინოს აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის ცვლილების სასურველი და არასასურველი ტენდენციები, შეიძლება გაირკვეს საწარმო ფინანსურად დამოუკიდებელია თუ სხვებზეა დამოკიდებული, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ცვლილება რა კავშირშია ფულადი ნაკადების ცვლილებასთან და ა.შ.


მაგალითად მოცემული ბალანსიდან ჩანს, რომ:

- გაზრდილია ფულადი საშუალებების ხვედრითი წილი 10.27%-ით და შემცირებულია დებიტორული დავალიანებების წილი 6.05%-ით, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საწარმო დროულად იღებს თანხებს მყიდველებისგან;
- გაზრდილია კრედიტორული დავალიანების ხვედრითი წილი 2.85%-ით, რაც უარყოფით მოვლენას წარმოადგენს, აბსოლიტურ მაჩვენებლებშიც გაზრდილია დავალიანება;

- შემცირებულია როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანი სესხების მოცულობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომპანია კარგად ართმევს თავს სასესხო ვალდებულებების დაფარვას. ხვედრითი წილებიც შემცირებულია 2.65 და 1.78 პროცენტით;
- საკუთარი კაპიტალი იგივეა, დამფუძნებლის მიერ შენატანი არ განხორციელებულა;
- საწარმოს აქვს მოგება, ბალანსში არ ჩანს დაუფარავი ზარალი, რაც დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს მომხმარებელზე.

სასურველია, რომ საწარმოში, აქტივების დაფინანსებისას საკუთარი კაპიტალი აღემატებოდეს ვალდებულებების წილს. ვნახოთ ეს როგორ არის შპს ორიენტ ლოჯიკის შემთხვევაში.

დიაგრამა - 2.1.1



შპს ორიენტ ლოჯიკის შემთხვევაში, ვალდებულებების წილი მკვეთრად აღემატება საკუთარი კაპიტალის წილს. ეს ნიშნავს რომ კომპანია უმეტესად მოზიდულ სახსრებს იყენებს ფუნქციონირებისთვის. კარგი იქნებოდა საკუთარი კაპიტალით უფრო მეტი დაფინანსება შეემდოს, მაგრამ ჩანს, რომ ვალდებულებების დაფარვას კარგად ახერხებს, რაც ბალანსში სესხის შემცირებითაც გამოიხატება.

განვიხილოთ ბალანსის ძირითადი მუხლები.

შპს ორიენტ ლოჯიკი ძირითადი საშუალებების აღიარებისთვის იყენებს ბასს 16-ს. თავდაპირველი აღიარებისას აღრიცხავს მათ თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

მიწა და შენობა-ნაგებობები აღრიცხება განცალკევებულად, იმ შემთხვევაში თუ ერთადაა შეძენილი გაიმიჯნება ექსპერტული შეფასების გზით.

ცხრილი 2.1.2 - მიწა და შენობა-ნაგებობები (ათასი ლარი)

დასახელება	ღირებულება 31.12.2017	შემენა	გასული ძირითადი საშუალება	ცვეთა	ღირებულება 31.12.2018
მიწა	2,231.60	-	-	-	2,231.60
შენობა ნაგებობა	2,140.60	3.30	-	42.80	2,101.10
სულ	4,372.20	-	-	42.80	4,332.70

საწარმო იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ნარჩენი ღირებულებით/თვითღირებულებიდან ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს გადახედავს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს, ნარჩენ ღირებულებებსა და ცვეთის მეთოდებს.

ცხრილი 2.1.3 - ძირითადი საშუალებები (ათასი ლარი)

დასახელება	ღირებულება 31.12.2017	შემენა	გასული ძირითადი საშუალებები	ცვეთა	ღირებულება 31.12.2018
კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერეფორული მოწყობილობებ ი და აღჭურვილობა	129.90	98.30	4.50	36.30	187.50
სპეციალური ინსტრუმენტებ ი, ინვენტარი და მოწყობილობა	14.60	7.60	-	3.30	18.90
ავეჯი ოფისისათვის	19.30	23.60	-	5.60	37.20
ელექტრონულ ი მოწყობილობა	11.60	8.10	-	3.10	16.60
სამშენებლო მოწყობილობა	-	0.20	-	0.41	0.19
თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბილული მოწყობილობა, ელექტროძრავე ბი და დიზელ- გენერატორები, ელექტროგადა ცემისა და კავშირგაბმულ ობის მოწყობილობებ ი	5.45	-	-	1.09	4.36
ავტოსატრანპო რტო საშუალებები	138.34	-	-	27.67	110.67
სულ	319.20	137.85	4.50	77.18	375.40

2018 წლის განმავლობაში ძირითადი საშუალებები გაზრდილია 137850 ლარით, უმეტესად შეძენილია კომპიუტერული მოწყობილობები და ავეჯი ოფისისთვის. დაგროვილმა ცვეთამ კი შეადგინა 119995 ლარი.

საწარმოს პროდუქციის ნომენტლატურაში გააჩნია როგორც წვრილი კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერია, ანუ ყველა აპარატურა, რომელიც დაკავშირებულია სისტემის მენეჯერთან: კლავიატურა, პრინტერი, მაუსი და სხვა. ასევე კომპიუტერულ სეგმენტზე გათვლილი რთული სპეციფიკაციის და ტექნოლოგიის მქონე ტექნიკა. ტექნიკის ნომენტლატურაში მოცემულია: სასერვერო მოწყობილობები, კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობები, ქსელური მოწყობილობები, უწყვეტი კვების ბლოკები და სხვა აქსესუარები.

რაც შეეხება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს, იგი შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

სამშენებლო-სარემონტო მასალები ჩამოიწერება თვითღირებულებით რემონტის ხარჯებში, დაუმთავრებელ მომსახურებაზე ან დაუმთავრებელ მშენებლობაზე , სამუშაოთა შესრულების შესახებ აქტის საფუძველზე.

საწარმოს გააჩნია ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლისთვისაც შესყიდული საწვავი აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ხოლო ჩამოიწერება ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმის შესაბამისად.

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს. ასევეა კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთების და მასალების (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) შემთხვევაში, შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

სასესხო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში ასახულია რეალური ღირებულებით, საკურსო სხვაობის შედეგების მოგება-ზარალში ასახვით. საწარმოს არ აქვს სესხები გაცემული. ასევე არ გააჩნია მეკავშირე და შვილობილი საწარმოები და არც ერთობლივ

საქმიანობაში აქვს განხორციელებული ინვესტიციები. მოძველებული და ძნელად სარეალიზაციო მასალები ექვემდებარება ჩამოფასებას, ხოლო დაზიანებული და შემდგომი გამოყენებისთვის უვარგისი მარაგები ჩამოიწერება. გაუფასურების თანხა მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ზარალს.

რადგან ჩამოწერილია აღნიშნული მასალები, ამიტომ წლის ბოლოს იგი ბალანსში არ არის ასახული.

საგადასახადო ვალდებულებებს რაც შეეხება, საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. მოგების გადასახადით იბეგრება ესტონური მოდელით.

საწარმო საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვას აწარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება 2018 წლის ბოლოსთვის არის 26,602 ლარი.

რომ შევაჯამოთ, მოცემული ბალანსის მეშვეობით მომხმარებელი მიიღებს ინფორმაციას, რომ საწარმო წარმატებით ახერხებს დებიტორული დავალიანებების ამოღებას, სასესხო ვალდებულებების დაფარვას და იღებს მოგებას. მაგრამ ამავდროულად უარყოფით მოვლენას წარმოადგენს ის, რომ საწარმო ფინანსურად დამოკიდებულია კრედიტორებზე და ჩანს ვალდებულებების ცვლილების არასასურველი ტენდენციები.

2.2 მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება უპირველესი დოკუმენტია პოტენციური ინვესტორებისთვის, რადგან ის აძლევს მას ინფორმაციას საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ, თუ რამდენი შემოსავალი ჰქონდა მას საანგარიშგებო პერიოდში, რამდენი დახარჯა და როგორი მოგება მიიღო.

ქვემოთ მოცემულია შპს ორიენტ ლოჯიკის მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი. ამ დროს ანგარიშგების მუხლების პროცენტული წილი გამოითვლება რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის მიმართ.

ცხრილი 2.2.1 - მოგებისა და ზარალის ანგარიშგების საერთო სტრუქტურა

	2017	2018	გადახრა
წმინდა გაყიდვები	100,00	100,00	0,00
რპთ	71,17	72,81	+1,64
საეთო მოგება	28,83	27,19	-1,64
მიწოდების ხარჯები			
რეკლამის ხარჯები	0,23	0,07	-0,16
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	0,06	0,06	0,00
სულ	0,30	0,13	-0,17
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი			
შრომის ანაზღაურება	14,82	19,95	+5,13
საოფისე ქირა	0,57	0,53	-0,04
კომუნიკაციის ხარჯები	0,17	0,22	+0,05
დაზღვევა	0,35	0,04	-0,31
ცვეთა და ამორტიზაცია	0,43	0,35	-0,08
სხვა საერთო ხარჯები	6,55	5,55	-0,99
სულ	22,90	26,65	+3,76
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი			
არასაოპერაციო შემოსავალი	1,71	6,77	+5,06
არასაოპერაციო ხარჯი	1,89	5,47	+3,58
სულ	-0,19	1,30	+1,49
მოგება დაბეგვრამდე	5,45	1,70	-3,75
მოგების გადასახადი	0,00	0,45	+0,45
წმინდა მოგება	5,45	1,25	-4,20

მაგალითად ჩანს, რომ შემოსავლების მიმართ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს 72.81 პროცენტს და ის წინა წელთან შედარებით გაზრდილია 1.64%-ით.

შპს ორიენტ ლოჯიკის დამკვეთთა სეგმენტი მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორს და მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. იგი იკვეთება, როგორც ერთ-ერთი ლიდერი კომპანია წარმოდგენილ სფეროებში, რომელიც ნაჩვენებია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შემუშავებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების სპეციალური კოდებით.

- 47.41.0 საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით სპეციალიზებულ მაღაზიებში
- 46.51.0 საბითუმო ვაჭრობა კომპიუტერებით, კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით
- 62.01.0 კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები
- 62.02.0 საკონსულტაციო საქმიანობები კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში
- 62.03.0 კომპიუტერული საშუალებების მართვის საქმიანობები
- 62.09.0 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები
- 95.11.0 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტი
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

აქვეა აღსანიშნავი, რომ შპს ორიენტ ლოჯიკი აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს კრიტერიუმებს და არ გეგმავს საქმიანობის შეჩერებას ან შეწყვეტას.

შემოსავალი, რომელიც მომსახურების გაწევასთან არის დაკავშირებული, საწარმოს პოლიტიკის მიხედვით, ხელშეკრულების სტადიის შესაბამისად აღიარდება ბალანსის შედგენის თარიღისთვის. თუ შესაძლებელი იქნება მისი საიმედოდ შეფასება.

შპს ორიენტ ლოჯიკი იყენებს მოგება-ზარალში დანახარჯების კლასიფიკაციას ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. საოპერაციო შემოსავლები და რეალიზებული

პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია აგრეგირებული სახით. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები კი მოცემულია განცალკევებულად.

შპს ორიენტ ლოჯის მოგება/ზარალის ანგარიშებიდან ნათლად ჩანს (დანართი - ცხრილი N2) თუ როგორ არის გაზრდილი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 2,968,404 ლარით. რა თქმა უნდა ამას მოჰყვა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდაც 2,671,885 ლარით, მაგრამ ეს ზრდა იმდენი არ იყო, რომ საერთო მოგება შემცირებულიყო. რაც დადებითი შედეგია და ინვესტორების დაინტერესებას გამოიწვევს. ამასთანავე, თვითღირებულების ზრდა ყოველთვის უარყოფითი მოვლენას არ წარმოადგენს, ასეთი ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებამ. მთავარია კომპანიამ არ დაუშვას მიზანშეუწონელი დანახარჯების გაწევა, რაც თვითღირებულებას კიდევ უფრო გაზრდის. გაყიდვების ზრდა გამოწვეულია იმით, რომ მძაფრი კონკურენციის მიუხედავად საწარმო მაინც ახერხებს ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის ფართო ასორტიმენტის საქონლის მიწოდებას.

სარეკლამო ხარჯებს კომპანია თანდათან ამცირებს, 2018 წლის ბოლოსთვის შემცირებულია 49,221 ლარით, მისი ხვედრითი წილიც შემცირებულია 0.16%-ით, ამით ცდილობს ახალი მიმართულების განვითარებისკენ მიმართოს სახსრები, როგორცაა კიბერ უსაფრთხოება და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებები.

წინა წელთან შედარებით გაიზარდა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ხვედრითი წილი 3.76%-ით. მასში ყველაზე დიდი წილი მოდის შრომის ანაზღაურებაზე, რადგან იზრდება თანამშრომელთა რაოდენობა და დაწინაურების შემთხვევები. კომპანია მუდმივ მზადყოფნას გამოხატავს სტაჟიორების მიღებასა და მათი, როგორც სპეციალისტების ჩამოყალიბებაში. რამდენიმეთვიანი წარმატებული პერიოდის შემდეგ კომპანია სთავაზობს მათ მუდმივ სამუშაო შტატს.

საოფისე ქირა გაიზარდა 2,633 ლარით, იქედან გამომდინარე, რომ საწარმომ საქართველოს ბაზარზე გააფართოვა ექსკლუზიური მიწოდება და დაჭირდა დამატებით იჯარით აელო ფართი. მაგრამ მისი ხვედრითი წილი შემცირებულია 0.04%-ით.

სხვა საერთო ხარჯებში კომპანიას შეყვანილი ყავს საწარმოს მართვასთან დაკავშირებული ხარჯები. როგორცაა, რემონტის, საკონსულტაციო, აუდიტორული, იურიდიული მომსახურების და საგადასახადო ხარჯები. საგადასახადო ხარჯებში შედის ქონების გადასახადის ხარჯი. სხვა საერთო ხარჯების ხვედრითი წილი შემცირებულია 0.99%-ით. კომპანია მაქსიმალურად ცდილობს თავი აარიდოს ზედმეტი დანახარჯების გაწევას და ამით ფინანსური შედეგის გაუარესებას.


არასაოპერაციო ხარჯებსა და შემოსავალს რაც შეეხება, მათში შედის საპროცენტო ხარჯი, კომპანიას აღებული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხი. ასევე ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად მიღებული შემოსავლები და ხარჯები. როგორც ზემოთ ვახსენე კომპანია საქონლის იმპორტს ახორციელებს საზღვარგარეთიდან და შესაბამისად მას შეეხება აქვს უცხოურ ვალუტასთან. ოპერაციებს, რომელიც უცხოურ ვალუტასთან არის დაკავშირებული, ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახავს საანგარიშგებო (ლარი) ვალუტით, ოპერაციის მოხდენის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანია უცხოური ვალუტით შეფასებულ ფულად მუხლებს აფასებს ბალანსის მომზადების თარიღისთვის არსებული საბოლოო კურსით, შედეგად კი წარმოიქმნება საკურსო სხვაობა. მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან ჩანს, რომ გაზრდილია როგორც არასაოპერაციო შემოსავლები, ისე ხარჯები. საბოლოო შედეგი კი წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია. 2017 წელს იყო არასაოპერაციო ზარალი 58,177 ლარის ოდენობის, 2018 წლის ბოლოს მოგება - 443,446 ლარი. არასაოპერაციო მოგების ხვედრითი წილი კი გაზრდილია 1.49%-ით. ეს შედეგები კომპანიაზე ნაკლებად არის დამოკიდებული, რადგან მასზე უფრო მეტად გარემო პირობები ახდენს გავლენას, უმეტესად ვალუტის გაცვლითი კურსი.

საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ ესტონური მოდელით. შესაბამისად დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან დაკავშირებული განაცემები, აგრეთვე ის განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ ჯამურად გასცა 829306 ლარის დივიდენდი, რომლის შესაბამისმა მოგების გადასახადმა შეადგინა 154050 ლარი.


უფრო ნათლად რომ დავინახოთ, კომპანიის ხარჯები წარმოვადგინოთ დიაგრამის სახით:

დიაგრამა - 2.2.1



დიაგრამიდან კარგად ჩანს, რომ ხარჯებიდან ყველაზე მცირე წილი მიწოდების ხარჯებს უჭირავს, ყველაზე დიდი კი რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე მოდის. კარგი იქნება თუ ცალკე განვიხილავთ საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს, რადგან იგი ყველაზე მეტ კომპონენტს მოიცავს.


დიაგრამა - 2.2.2



საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში კი ყველაზე დიდი წილი ხელფასზე მოდის. ვინაიდან კომპანიას გაეზარდა გაყიდვები, საჭირო გახდა ახალი თანამშრომლების აყვანა. ასევე საწარმომ დაიწყო ახალი პროექტების განხორციელება, 2018 წლამდე კომპანიას არ ჰქონდა პროგრამული უზრუნველყოფის რესურსი და 2018 წლისთვის შექმნეს რამოდენიმე ახალი პროგრამა, რომელიც რა თქმა უნდა ითვალისწინებდა ახალი თანამშრომლების აყვანას და არსებულის კვალიფიკაციის ამაღლებას. მაგრამ მიუხედავად ამისა, კარგი იქნება თუ კომპანია შეისწავლის ადმინისტრაციულ ხარჯებს და თავიდან აიცილებს რისკს, რომელიც დაკავშირებულია არამიზნობრივი ხარჯების გაწევასთან.

შპს ორიენტ ლოჯის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მოცემულია წინა წლის ინფორმაცია, ამიტომ კარგი იქნება თუ ამ ორი პერიოდის ხარჯებს შევადარებთ ერთმანეთს.

დიაგრამა - 2.2.3



დიაგრამიდან კარგად ჩანს, რომ ხარჯები თითქმის ერთნაირად იცვლება ორივე წელს. გაზრდილია რპთ, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები და არასაოპერაციო ხარჯი. მხოლოდ მიწოდების ხარჯების შემცირება ფიქსირდება.

ასე რომ, შეიძლება დავასკვნათ, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას აძლევს, როგორც ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელს, ასევე კომპანიას. ორივე მათგანმა უნდა შეძლოს მასში წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

2.3 ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსვლასა და გასვლასთან დაკავშირებული საკითხები.

შპს ორიენტ ლოჯიკი ფულადი ნაკადების ანგარიშგებას წარადგენს პირდაპირი მეთოდით. ანუ ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსვლა და გასვლა ძირითადი კატეგორიების მიხედვით. (დანართი - ცხრილი N3)

ფასს-ის შესაბამისად, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია:

- მომსახურების გაწევიდან და საქონლის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები;
- სხვა საოპერაციო სახსრები.

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები კომპანიას არ ჰქონია საანგარიშგებო პერიოდში.

რაც შეეხება საფინანსო საქმიანობას, მასში შეტანილია :

- მიღებული სესხების დაფარვასთან დაკავშირებული გასავალი;
- გადახდილი პროცენტები;
- სესხის სახით მიღებული ფულადი სახსრები.

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს არ მიუღია დივიდენდები, სავალო ფასიანი ქაღალდები, თამასუქები ან ობლიგაციები საანგარიშგებო პერიოდში გამოშვებული არ ყოფილა.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ეროვნული ვალუტა - ლარი, ხოლო უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით.

საწარმოს გააჩნია მთავარი სალარო. სალაროში მიღებული ფულადი ამონაგები შეიტანება კომპანიის საბანკო ანგარიშზე.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომხმარებელს ეხმარება გაიგოს:


- რამდენად შეუძლია საწარმოს თავისი ვალდებულებების დაფარვა საკუთარი ფულით;
- საჭიროა თუ არა დამატებითი სახსრების მოზიდვა და როგორ შეიძლება ეს განახორციელოს;
- არსებობს თუ არა ფულის დეფიციტი და რომელი მიმართულებით;
- რამდენად იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

ცხრილი 2.3.1 - წმინდა ფულადი ნაკადების სტრუქტურა პროცენტულად

მაჩვენებლები	2017 ხვ/წ %	2018 ხვ/წ %	გადახრა
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	654,05	159,62	-494,44
წმინდა ფულადი სახსრების საინვესტიციო საქმიანობიდან	0,00	0,00	0,00
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-554,05	-59,62	+494,44
წმინდა ფულადი ნაკადი სულ	100,00	100,00	0,00

ცხრილში ნაჩვენებია საწარმოს ფულადი ნაკადების ხვედრითი წილები საქმიანობის სახეების მიხედვით. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრების ხვედრითი წილი შემცირებულია 494.44%-ით, რადგან გაზრდილია წმინდა ფულადი ნაკადები ჯამში. ხოლო ფულადი ნაკადების ხვედრითი წილი საფინანსო საქმიანობიდან გაზრდილია 494.44%-ით, რადგან საწარმოს დეფიციტი ჰქონდა ამ ნაწილში და ეს დეფიციტი შემცირდა.

დიაგრამა 2.3.1



შპს ორიენტ ლოჯიკის წმინდა ფულადი სახსრები საოპერაცია საქმიანობიდან მკვეთრად არის გაზრდილი აბსოლიტურ სიდიდეში, რაც უმეტესად გამოიწვია დებიტორული დავალიანებების შემცირებამ. მაგრამ მისი ხვედრითი წილი წმინდა ფულად ნაკადებში შემცირებულია. შემცირებულია ასევე დეფიციტი საფინანსო საქმიანობაში, კომპანია ცდილობს სასესხო ვალდებულებების პირნათლად შესრულებას. ხოლო საინვესტიციო საქმიანობაში ფულადი ნაკადების მოძრაობა საერთოდ არ აღინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი საშუალებების შექმნა

უფიქსირდება კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში, ნაწილი ავანსად არის გადახდილი, ნაწილი კი ვალდებულებებად რჩება. ასევე გაყიდულიც არის ძირითადი საშუალება, მაგრამ ჯერ ანაზღაურება არ არის მიღებული.

საწარმოს არ უნდა ჰქონდეს ფულის დეფიციტი, განსაკუთრებით საოპერაციო საქმიანობიდან, რადგან იგი ეხება საწარმოს ძირითად საქმიანობას. შპს ორიენტ ლოჯიკის შემთხვევაში ეს ასეა, ესეიგი კომპანია კარგად ახერხებს ძირითადი ხარჯების ანაზღაურებას ისე, რომ დეფიციტი არ გამოიწვიოს. ამასთან, წინა წელთან შედარებით გაზრდილია ფულადი სახსრების ოდენობა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან შესაძლოა ბალანსში ფულადი სახსრები საკმარისი რაოდენობით იყოს, მაგრამ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, საოპერაციო საქმიანობის მიმართულებით არსებობდეს დეფიციტი. ასევე საწარმოს შეიძლება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მიხედვით დიდი მოგება უფიქსირდებოდეს, მაგრამ რეალურად არ ჰქონდეს შესაბამისი ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები.

შპს ორიენტ ლოჯიკის შემთხვევაში ძირითადი აქტივობები ფიქსირდება საოპერაციო და საფინანსო საქმიანობაში. საფინანსო საქმიანობის ნაწილში არსებობს ფულის დეფიციტი, ეს იმით არის გამოწვეული, რომ კომპანიას აქვს უფრო მეტი ფული გადახდილი სესხის გასასტუმრებლად, ვიდრე მიღებული ამ საქმიანობიდან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საწარმოს არ აქვს გაცემული სესხი და არ იღებს შემოსავალს სესხის პროცენტებიდან. დადებით ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ მაინც ახერხებს სასესხო საპროცენტო ვალდებულებების დაფარვას. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს დეფიციტი შემცირებულია წინა წელთან შედარებით.

ფულადი ნაკადების უკეთ შესწავლისთვის ცალ-ცალკე წარმოვაჩინოთ შემოსული და გასული ფულადი საშუალებების სტრუქტურა.

ცხრილი 2.3.2 შემოსული ფულადი ნაკადების საერთო სტრუქტურა პროცენტულად

მაჩვენებლები	2017 ხვ/წ %	2018 ხვ/წ %	გადახრა
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	79,83	81,13	+1,31
მოკლევადიანი სესხის სახით მიღებული ფულადი სახსრები	20,17	18,87	-1,31
შემოსული ფული სულ	100,00	100,00	0,00

კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახრების წილი გაზრდილია 1.31 %-ით, მიღებული სესხი კი შემცირებულია. ეს კარგი მაჩვენებელია, რადგან საწარმო უფრო მეტ სახსრებს იღებს კლიენტებისგან და მიღებულ სესხებსაც ამცირებს.

ცხრილი 2.3.3 გასული ფულადი ნაკადების საერთო სტრუქტურა პროცენტულად

მაჩვენებლები	2017 ხვ/წ %	2018 ხვ/წ %	გადახრა
მომწოდებელზე გადახდილი ფულადი სახსრები	69,33	70,43	+1,10
გადასახადები	6,70	7,48	+0,78
მოკლევადიანი სესხის ძირზე გადახდილი ფულადი სახსრები	22,35	20,24	-2,11
სესხის პროცენტზე გადახდილი ფულადი სახსრები	0,43	0,30	-0,13
დივიდენდზე გადახდილი ფულადი სახსრები	1,19	1,55	+0,36
გასული ფული სულ	100,00	100,00	0,00

რაც შეეხება გასულ ფულად ნაკადებს, მომწოდებელზე გადახდილი სახსრები გაზრდილია და მისი ხვედრითი წილიც გაიზარდა 1.1%-ით. ასევე გაიზარდა გადასახადები 0.78%-ით. დივიდენდებიც წინა წელთან შედარებით უფრო მეტი გასცა საწარმომ და მისი ხვედრითი წილი 0.36%-ით არის გაზრდილი. მოკლევადიან სესხზე და სესხის პროცენტზე გადახდილი ფულადი სახსრების ხვედრითი წილები კი შემცირებულია, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლიტურ მაჩვენებლებში სესხის ძირზე გადახდილი სახსრები გაზრდილია.

რომ შევაჯამოთ, ფულადი ნაკადების ანგარიშებიდან შეგვიძლია მივიღოთ დეტალური ინფორმაცია საწარმოში შემოსული და საწარმოდან გასული თანხების შესახებ და გავარკვიოთ მის რომელ ნაწილში ხდება ფულადი ნაკადების მოძრაობა.

2.4 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

აქტივების ის ნაწილი, რომელიც კომპანიას ვალდებულებების დაფარვის შემდეგ რჩება, არის კაპიტალი. ეს ანგარიშგება მომხმარებელს ეხმარება გამოიტანოს დასკვნა, შინარჩუნა თუ არა საწარმომ საკუთარი კაპიტალი და რამდენად ეფექტურია რეზერვების შექმნა.

განვიხილოთ შპს ორიენტ ლოჯიკის საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა. ცხრილში მოცემულია საკუთარი კაპიტალის თითოეული მუხლის ხვედრითი წილის მაჩვენებლები მთლიანი საკუთარი კაპიტალის მიმართ.

ცხრილი 2.4.1 - საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა პროცენტულად

საკუთარი კაპიტალის მუხლები	2017	2018	გადახრა
საწესდებო კაპიტალი	0,02	0,02	0,00
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	53,86	49,81	-4,05
გადაფასების რეზერვი	46,12	50,17	4,05
სულ საკუთარი კაპიტალი	100,00	100,00	0,00

ცხრილიდან ჩანს, რომ გაუნაწილებელი მოგების ხვედრითი წილი შემცირებულია 4.05%-ით, ხოლო გადაფასების რეზერვის ხვედრითი წილი გაზრდილია, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლიტურ სიდიდეში ის შეცვლილი არ არის.

შპს ორიენტ ლოჯიკის საკუთარი კაპიტალი შემდეგ ქვეჯგუფებს მოიცავს : (დანართი - ცხრილი N4)

- სააქციო კაპიტალი;
- გაუნაწილებელი მოგება-ზარალი;
- ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი.


საწარმოს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1274 ლარს. 2016 წლიდან კაპიტალში პარტნიორთა შენატანი არ განხორციელებულა. პერიოდის დასაწყისისთვის დაგროვილი მოგება ფიქსირდება 3,374,263 ლარი. საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი დასრულდა 426,432 ლარის მოგებით. წლის განმავლობაში გამოცხადებული და გაცემული დივიდენდის ოდენობამ შეადგინა 918,469 ლარი. კაპიტალმა განიცადა სხვადასხვა ცვლილება მიმდინარე პერიოდში 14,020 ლარით. წლის ბოლოს გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 2,869,480.

2017 წელს შპს ორიენტ ლოჯიკმა შეაფასა თავისი ძირითადი საშუალებები, აფასების შედეგად ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მოცულობა შეადგენს 2,889,015 ლარს. საანგარიშგებო პერიოდში გადაფასების რეზერვში ცვლილება არ განხორციელებულა.


როდესაც აქტივის რეალური ღირებულება განსხვავდება საბალანსო ღირებულებისაგან საწარმომ აუცილებლად უნდა გადააფასოს იგი. როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის ღირებულება იზრდება ნამეტი უნდა დაკრედიტდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში, გადაფასების რეზერვში. როგორც ეს ორიენტ ლოჯიკს აქვს ასახული კაპიტალში.

დიაგრამის დახმარებით წარმოვაჩინოთ შპს ორიენტ ლოჯიკის საკუთარი კაპიტალის შემადგენელი ნაწილების ცვლილება წლების მიხედვით.

დიაგრამა 2.4.1 - საკუთარი კაპიტალი - ქვეჯგუფები



დიაგრამა 2.4.1 - საკუთარი კაპიტალი



2017 წელს 2016-თან შედარებით გაზრდილია საკუთარი კაპიტალი, რაც გამოიწვია იმან, რომ გაზრდილია გაუნაწილებელი მოგება. 2018 წლის ბოლოს კი კაპიტალი მცირედით შემცირდა, რადგან შემცირდა გაუნაწილებელი მოგება და ამავდროულად უფრო მეტი დივიდენდი გაიცა. თუმცა მაინც ინარჩუნებს მაღალ მაჩვენებელს.

დასკვნა

ნაშრომიდან კარგად ჩანს, თუ თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსური ანგარიშგების სწორად მომზადებას და წარდგენას. მისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღება სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილებები და ხდება ინვესტორების დაინტერესება.

შპს ორიენტ ლოჯიკის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია მსს ფასს-ის მიხედვით აღრიცხვაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საწარმო 2017 წლამდე იყენებდა არსებითად არ განსხვავდება იმ პოლიტიკისგან რომელიც ახლა აირჩია, ამიტომ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილია 2017 წლის მონაცემებიც.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გაანალიზების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ გაზრდილია კომპანიის ფულადი სახსრები, ეს გამოწვეულია დებიტორული დავალიანების შემცირებით, რაც დადებითი მოვლენაა, მაგრამ ამავედროულად გაზრდილია მოთხოვნები პერსონალის მიმართ. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს პერსონალის მიერ გახარჯვის დოკუმენტების წარმოუდგენლობით ან თანამშრომელზე სამივლინებო ავანსის გაცემით, 31 დეკემბრის მდგომარეობით კი თანამშრომელი არ იყო დაბრუნებული მივლინებიდან, რომ დოკუმენტები წარმოედგინა.

კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტი ის არის, რომ გაზრდილია ვალდებულებები, საქონლის შეძენა და მომსახურების მიღება უმეტესად ხდება მომავალში გადახდის პირობით. კარგი იქნება თუ კომპანია მოახერხებს დებიტორული დავალიანებების უფრო სწრაფად ამოღებას, რათა ეს სახსრები გამოიყენოს ვალდებულებების დასაფარად. შემცირებულია როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანი სესხები. კომპანია ცდილობს სესხები გაისტუმროს და შემდეგ საკუთარი სახსრებით დაფაროს ვალდებულებები.

ამასთან სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი არის გაზრდილი 6,542,349 ლარამდე. ფინანსურ ანგარიშგებაში არ ჩანს თუ რა შედის საწამოს სმფ-ში.

დაწვრილებითი ინფორმაცია უფრო მეტად დაეხმარება მომხმარებელს ანგარიშგების აღქმაში.

კარგი იქნებოდა კომპანიას წარმოედგინა ინფორმაცია საექვო მოთხოვნების შესახებ, რადგან ამ საკითხზე არაფერია ნაჩვენები ფინანსურ ანგარიშებაში.

მოგება/ზარალის ანგარიშებიდან ჩანს, რომ კომპანიას ხარჯები აქვს გაზრდილი წინა წელთან შედარებით. გაიზარდა საწარმოს რეალიზაცია, რამაც გამოიწვია ხარჯების ზრდა. ხარჯების დეტალური ანალიზი ნათლად არის წარმოდგენილი დიაგრამების მეშვეობით. მიუხედავად ხარჯების ზრდისა კომპანია მაინც ინარჩუნებს მოგების მაჩვენებელს და არ აქვს ზარალი. მაგრამ წინა წელთან შედარებით შემცირებულია მოგება. ეს გამოწვეულია რპთ-სა და ადმინისტრაციული ხარჯების ზრდით და ასევე უფრო მეტი დივიდენდის გაცემით.

საყურადღებოა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ჩაშლილი ინფორმაცია სხვა საერთო ხარჯების შესახებ. გვაქვს ინფორმაცია მისი შემადგენელი ნაწილების შესახებ შინაარსობრივად და მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან ჩანს რომ შემცირებულია 143960 ლარით, თუმცა კარგი იქნებოდა ინვესტორს დაენახა მისი ელემენტების პროცენტული თანაფარდობაც.

კომპანიამ უნდა მოახერხოს და შეამციროს ადმინისტრაციული დანახარჯები, ამისათვის საჭიროა ჩამოაყალიბოს ეფექტური სახელფასო სისტემა. ასევე კარგი იქნება თუ შეამცირებს თვითღირებულებას, მიმართავს დანახარჯების ანალიზს. ეს ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს გამოავლინოს რაციონალურად იხარჯება თუ არა კომპანიის მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსები. მნიშვნელოვანი რისკია ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა, რაც უშუალოდ აისახება საწარმოს საქმიანობაზე. ამასთან საქართველოს შიდა ბაზარი არასტაბილურია და არ გააჩნია კარგი მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება გვაჩვენებს, რომ 2018 წლის ბოლოს წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან არის გაზრდილი 2017 წელთან შედარებით. ეს ნიშნავს რომ საწარმო ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს კარგად მართავს, არ აქვს დეფიციტი. საფინანსო საქმიანობაში ფიქსირდება დეფიციტი, რადგან ამ საქმიანობიდან შემოსავალს ვერ იღებს, მაგრამ გადასახდელი აქვს სესხის ძირი და პროცენტები. თუმცა წინა წელთან შედარებით ეს დეფიციტი შემცირებულია.

საწარმოს კაპიტალში შენატანები არ განუხორციელებია 2018 წელს. აქვს გადაფასების რეზერვი. წინა წელთან შედარებით შემცირებულია საკუთარი კაპიტალი, რადგან შემცირდა მოგება.

შპს ორიენტ ლოჯიკი ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა თავის დარგში. ის უძღვრება მძაფრ კონკურენციას და არის წარმატებული, გარკვეულ მიმართულებებში იძლევა საშუალებას იყოს ლიდერი.

საწარმოს ძირითადი პრობლემატური საკითხი არის ის, რომ კომპანია ფინანსდება ნასესხები სახსრებით. კარგი იქნება, თუ მომავალში შეეცდება შეამციროს ისინი და სხვა ალტერნატიული გზებით გადაჭრას ეს საკითხი. მაგალითად მოიძიოს ინვესტორები, იმ მიზნით, რომ გაუზღდეს ფულადი სახსრები ძირითადი საქმიანობის განსავითარებლად და არ გახდეს საჭირო სესხის აღება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2018წ;
2. ბასს 1, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, 2018წ;
3. ბასს 16, ძირითადი საშუალებები, 2018წ;
4. ბასს 21, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები, 2018წ;
5. ბასს 7, ფულადი ნაკადების ანგარიშგება, 2018წ;
6. ბასს 8, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, 2018წ;
7. ფასს 1, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, 2018წ;
8. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, 2018წ;
9. დოლიაშვილი თ., ლილუაშვილი გ.,(2015). ბუღალტრული აღრიცხვა. თბილისი;
10. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ., ფინანსური ანგარიშგება (მე-2 გადამუშავებული გამოცემა). თბილისი;
11. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ.,(2017). ფინანსური აღრიცხვა. თბილისი: მერიდიანი
12. საბაური ლ., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., (2017). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფის გზები მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
13. ჭილაძე ი., (2018). ფინანსური ანალიზი. თბილისი;
14. ხარაბაძე ე.,(2018). ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები. თბილისი;
15. ხარაბაძე ე.,(2018). ფინანსური აღრიცხვა (მე-2 გადამუშავებული გამოცემა). თბილისი;
16. ფინანსური ანგარიშგება - <http://www.auditgroup.ge/page.php?id=44>;
17. ფინანსური ანგარიშგება, მისი არსი და მიზანი - http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/_biznesi%20da%20ekonomika/X5.2.htm;
18. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ელემენტები - http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/_biznesi%20da%20ekonomika/X5.4.htm;
19. ფინანსური ანგარიშგების მომზადება - http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/_biznesi%20da%20ekonomika/X9.2.htm;
20. <https://reportal.ge/>

დანართი

ცხრილი N1 - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათასი ლარი)

	2017	2018
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი საშუალებები	1020	3213
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3043	2920
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	454	221
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	150	158
საგადასახადო აქტივი	155	397
საქონელი	4230	6542
სულ მიმდინარე აქტივები	9052	13451
გრძელვადიანი აქტივები		
მიწის ნაკვეთები	2232	2232
შენობები	2140	2101
ოფისის აღჭურვილობა	181	292
სატრანსპორტო საშუალებები	138	83
სულ გრძელვადიანი აქტივები	4691	4708
სულ აქტივები	13743	18159
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	4969	7084
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	-	6
მიღებული ავანსები	929	3999
მოკლევადიანი სესხები	1161	1053
საგადასახადო ვალდებულება	-	27
სულ მიმდინარე ვალდებულებები	7059	12169
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	420	232
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	420	232
სულ ვალდებულებები	7479	12401
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	1	1
გაუნაწილებელი მოგება	3374	2442
სარეზერვო კაპიტალი	2889	2889
გაუნაწილებელი მოგება 2018 წელი		426
სულ კაპიტალი	6264	5758
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	13743	18159

ცხრილი N2 - მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ათასი ლარი)

	2017	2018
წმინდა გაყიდვები	31081	34050
რპთ	22121	24793
საეთო მოგება	8960	9257
მიწოდების ხარჯები		
რეკლამის ხარჯები	73	24
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	19	20
სულ	92	44
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი		
შრომის ანაზღაურება	4607	6794
საოფისე ქირა	179	181
კომუნიკაციის ხარჯები	54	76
დაზღვევა	108	14
ცვეთა და ამორტიზაცია	134	120
სხვა საერთო ხარჯები	2035	1891
სულ	7117	9076
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი		
არასაოპერაციო შემოსავალი	530	2305
არასაოპერაციო ხარჯი	588	1862
სულ	-58	443
მოგება დაბეგვრამდე	1694	580
მოგების გადასახადი		154
წმინდა მოგება	1694	426

ცხრილი N3 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ათასი ლარი)

	2017	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	35964	45082
მომწოდებელზე გადახდილი ფულადი სახსრები	(31030)	(37588)
გადასახადები	(2998)	(3992)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1936	3502
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
უძრავი ქონების შეძენაზე გადახდილი ფულადი სახსრები	-	-
წმინდა ფულადი სახსრების საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხის ძირზე გადახდილი ფულადი სახსრები	(10003)	(10800)
მოკლევადიანი სესხის სახით მიღებული ფულადი სახსრები	9088	10483
სესხის პროცენტზე გადახდილი ფულადი სახსრები	(192)	(162)
გრძელვადიანი სესხის სახით მიღებული ფულადი სახსრები	-	-
დივიდენდზე გადახდილი ფულადი სახსრები	(533)	(829)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1640)	(1308)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	296	2194
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	724	1020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის	1020	3214

ცხრილი N4 - საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (ათასი ლარი)

დასახელება	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის დასაწყისში	1	2242	0	2243
მოგება/ზარალი		1694	2889	4583
დივიდენდის გამოცხადება		-561		-561
ნაშთი 2017 წლის ბოლოსთვის	1	3375	2889	6264
მოგება/ზარალი		426	0	426
დივიდენდის გამოცხადება		-918		-918
სხვა		-14		-14
ნაშთი 2018 წლის ბოლოსთვის	1	2869	2889	5758